

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდები გრძელდება

2022 წლის 19 თებერვლიდან სწავლების ცენტრი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდებს ატარებს, რომელიც ელექტრონული ტესტირების მეთოდით მიმდინარეობს. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. თითოეული გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 30 საგამოცდო ტესტი, რომელიც მოიცავს:

- საქართველოს კონსტიტუციიდან – 6 კითხვას;
- საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 15 კითხვას;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტიდან – 1 კითხვას;
- საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტიდან – 1 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) – 5 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) – 2 კითხვას.

სასერტიფიკაციო გამოცდაზე უცვლელად გამოიყენება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ტესტები (მათემატიკური ტესტების ნაწილში, გამოცდის ჩატარებისას იცვლება რიცხვითი მონაცემები).

ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 24 ქულა. გამსვლელი ქულის მიღების შემთხვევაში გამოსაცდელს ადგილზე გადაეცემა სერტიფიკატი.

სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138 (ცესკოს შენობა). გამოსაცდელი სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული თარიღისა და დროის დაცვით (საგამოცდო ცენტრში გამოცხადდება უნდა მოხდეს გამოცდის დაწყების დრომდე 10 წუთით ადრე). გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე ან დაგვიანებით გამოცხადდება, მოიხსნება გამოცდიდან.

გამოსაცდელმა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადებისას თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდისთვის მოქალაქეთა რეგისტრაცია დასრულდა მიმდინარე წლის 16 თებერვალს, გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 726 (ქალი - 477, კაცი - 249). საგამოცდო პროცესი 3 მარტს დასრულდება.

გამოცდის მიმდინარეობას აკვირდება არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“-ის სამი დამკვირვებელი.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

გამოცდა მიმდინარეობს პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით. პრევენციული ზომებიდან გამომდინარე, გამოცდის ჩაბარების მსურველი, გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს სამედიცინო პირბადით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 261 21 11 (17)